ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 219

“20” მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.019) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ინგა ხელაიასთვის (ს/ნ. 62007014706) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ინგა ხელაიასთვის (ს/ნ 62007014706) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის N25.731.814 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.019) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით ინგა ხელაიასთვის (ს/ნ. 62007014706) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 9 600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე